იკითხე ყურანი, გაიგე, იცხოვრე

بسم الله الرحمن الرحيم

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

დიანეთის საქმეთა
სამმართველოს გამომცემლობა

სახალხო წიგნები

თარგმნა
თამაზ მიქელაძემ

გრაფიკა და დიზაინი
ბილალ ილკაი

muslim georgia

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
وقف تضامن حاولو مسلمو جورجيا
muslim georgia uluslararası yardımlaşma vakfı

www.muslimgeorgia.org
info@muslimgeorgia.org
muslim.georgia.18
muslim.georgia.54
georgiaquran
muslim_georgia
muslimgeorgiaquran
muslimgeorgia

იუსუფ ყუთუბი,

ფიქჰ. იცხოვრე

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

სარჩევი

ცის მიწასთან დამაკავშირებელი კარი- ყურანი	7
ყურანის ცხოვრებისეული გამოვლინებები	15
შუამავლის მეგობრების ამაგი ყურანის სწავლა-სწავლების საკითხში	23
იკითხე ყურანი, გაიგე, გაითავისე	29
ყურანის წელთან დაკავშირებით ყურანის კითხვის შესახებ	45
ცხოვრება ყურანის ჩრდილქვეშ	52

muslim georgia

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

ცის მიწასთან დამაკავშირებელი ყინო- ყურანი

ნიჰათ შაჰინ უთქუ

მექას თვალიერებისას ჩამოშლილი ქვებით სავსე ჰირას მთა დავინახე, რომლის კალთებზეც ვიწრო გამოქვაბულია, სადაც შუამავალს ყურანის პირველი აიათი მოევლინა. მექაში მცხოვრები მუჰამმედის იმ მარტოობის წლების მოწმე იყო ამ გამოქვაბულის კედლები. სწორედ აქ მიიღო ღვთიური გზავნილის მიღებისგან გამოწვეული პირველი შოკი. იმ დროის არაბები ზეპირმეტყველების ზენიტში იყვნენ,მაგრამ ყურანის ერთი უმოკლესი სურას მსგავსიც კი ვერ შექმნეს. სწორედ აქედან, ამ გამოქვაბულიდან დაიწყო ღვთიური გზავნილის მოვლინება და შემდეგ ის კაცობრიობას გადაეცა.

პირველი ბრძანება იყო „წაიკითხე“, რასაც მოჰყვა სხვა აიათები, რომლებიც ძირითადად გაფრთხილებებს შეიცავდა. ამის შემდეგ ხანგრძლივი „დუმილის პერიოდი“ დაიწყო, რაც შუამავალს უკიდურეს სასო-

8 • იბრაჰიმ ყურეიში, ფაი

სამხედრო-პოლიტიკურ მმართველობაში იყო ჩაბმული, ზოგი ქააბაში მოსულ მომლოცველების გამასპინძლების ტრადიციას კურირებდა და ასე შემდეგ. შუამავლის მიერ მოტანილი ახალი სარწმუნოება ამ წესრიგს უქმნიდა საფრთხეს და ყურეიშებმა სასტიკი წინააღმდეგობა გასწიეს. ისინი ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა ისლამის გავრცელება შეეჩერებინათ. იყო გაუგონარი ძალადობა, ცილისწამება, მოსყიდვის მცდელობა და სხვა.

შუამავალი მუჰამმედი მექას ხალხში ცნობილი იყო, როგორც „სანდო მუჰამმედი“. მისი პატიოსნება და სანდოობა ურყევი იყო და ამას ყველა აღიარებდა. ამის მიუხედავად მექას ელიტა ძლიერ დაუპირისპირდა მას და მის მიმდევრებს სასტიკად სდევნიდნენ.

რა თქმა უნდა, მექას წარჩინებულთა შფოთვა მათ პოლიტიკურ და ფინანსურ მდგომარეობას უკავშირდებოდა. მათ ეშინოდათ, რომ ახალი სარწმუნოება მათ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წყობას მოშლიდა და ისინი პრივილეგიებს დაკარგავდნენ. ამ შიშებმა ისინი დარაზმა და ისლამის დასაწყისშივე ჩახშობის მცდელობას შეუდგნენ.

ყურანის აიათების გავრცელებამ შუამავა მუჰამმედზეც ძლიერ იმოქმედა. შუა-

მავლობის მისიის დაკისრებამდე მუჰამმედი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა, თუმცა ის ყოველთვის ცდილობდა ყურეიშთა მიერ დადგენილი წესრიგის მიღმა ყოფილიყო. ახალგაზრდობის წლებში სავაჭრო ქარანიც ებარა და იმოგზაურა. მისი წარმოუდგენელი სამართლიანობა და წესიერება ყველას თვალში უდიდეს ნდობას იწვევდა, მაგრამ ამის მიუხედავად საზოგადოებრივი ან პოლიტიკური სტატუსის ამაღლების თვალსაზრისით რაიმე წინსვლა არ ჰქონია. პირიქით, 30 წლის ასაკიდან უკვე მარტოობისკენ მიდრეკილი გახდა და საზოგადოებას უფრო და უფრო შორდებოდა. მისი საზოგადოებასთან დაბრუნება სწორედ ყურანის მოვლინებამ განაპირობა. მექას პერიოდში მოვლენილი აიათები ერთი ღმერთის რწმენას, ღვთისმსახურებას და მორალურ საკითხებს ეხებოდა და ეს იყო სამზადისი მედინას პერიოდისათვის, სადაც შუამავალი პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ და სამხედრო მიმართულებით აღმავლობის გზას უნდა დადგომოდა.

ყურანი 23 წლის განმავლობაში თანდათანობით ევლინებოდა შუამავალს და ის ძირითადად იმ პერიოდის პირობების შესაბამის სტილში იყო წარმოდგენილი, რათა ადამიანებს კარგად გაეგოთ ის. ყურანი იმ საზოგადოებისა და ასევე ყველა ადამი-

ანის ცხოვრების პირობებს განიხილავდა და მათი სწორად ცხოვრებისთვის საჭირო ქცევებს ადგენდა. ყურანში ასევე მრავლადაა მოცემული ადრეული პერიოდებისა და შუამავლების შესახებ ინფორმაცია და ეს ინფორმაცია უფრო ზოგადია და ნაკლებად შეიცავს ბიოგრაფიულ საკითხებს, ვიდრე ეს მოცემულია მაგალითად ბიბლიასა და თორაში. იმ ორი შუამავლისგან განსხვავებით ყურანში შუამავალ მუჰამმედის ცხოვრების შესახებ საკმაოდ მწირი ინფორმაციაა მოცემული. შუამავლების ცხოვრების შესახებ მოცემული ინფორმაციაც ძირითადად გაფრთხილებას შეიცავს. ყურანში ძირითადად პრინციპებია ჩამოყალიბებული და ამასთანავე არის დებულებები, რომლებიც ნებისმიერი საზოგადოების პოლიტიკურ თუ სოციალურ, ან ეკონომიკურ ცხოვრებას მოაწესრიგებს. ასევე ცნობილია რომ, შუამავალ მუჰამმედს მისი ორი წინამორბედის, შუამავლების, მოსესა და იესოსგან განსხვავებით ნაკლები სასწაული აქვს ნაჩვენები. ამასთანავე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ შუამავალ მუჰამმედზე მინიჭებული ყველაზე დიდი სასწაული ყურანია. ეს თავად ყურანშვეა ნაბრძანები. ყურანი ურწმუნოთაგან ითხოვს, რომ სულ მცირე, მაგრამ მსგავსი მაინც შეექმნათ. ყურანის პირველი ადრესატები იყვნენ მექას მოსახლეობა, რომლებიც ზეპირსიტყვიერების

საოცარი ოსტატობით გამოირჩეოდნენ. ეს შეთავაზება, რომ შეექმნათ რაიმე მსგავსი, იყო მათ მიმართ და ასევე ყველას მიმართ დღემდე და როგორც ვიცით მსგავსი არაფერი შექმნილა. ყურანი 23 წლის განმავლობაში თანდათანობით ევლინებოდა კაცობრიობას და ყოველი მისი აიათი ადამიანებს ახსენებდა, რომ ის უდიდესი სასწაული იყო.

ყურანის უნიკალური სტილი და შინაარსი ადამიანისთვის სრულად გასაგები და დეტალურად გასაგები არ არის და ამასთანავე მისი შინაარსი ნებისმიერი ტიპის საზოგადოებისათვის, ნებისმიერ ეპოქაში მისაღები და შესაბამისია.

ყურანის შინაარსიდან ჩანს, რომ შუამავალი ღვთიური გზავნილის მიმღებია და ამ დროს მისი, შუამავლის ფიზიკური მხარე პასიურ მდგომარეობაშია. ამ გზით ცხადი ხდება, რომ ღვთიური სიტყვა არანაირი ამქვეყნიური ზეგავლენების ქვეშ არ ყოფილა. ღვთიური გზავნილი ხანგამოშვებით მოდიოდა, რაც მისი თანდათანობით ხალხზე გაცნობას უწყობდა ხელს. ღვთიური გზავნილის მიღებისას შუამავლის როლი იმდენად „პასიური“ იყო, რომ მას შეეშინდა სიტყვები ან წინადადებები არ დავიწყებოდა. შუამავლის ეს შიში უსაფუძვლო გამოდგა, რადგან ღმერთმა მას

უბრძანა, რომ ყურანის მოვლინება, შუამავლის გულში მოთავსება და მისი დაცვა თავად ღმერთმა ითავა და ეს ეჭვს არ ექვემდებარებოდა.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შუამავლის გარეშე ყურანის სათანადოდ გაგება და განმარტება შეუძლებელია. ღვთიური გზავნილის შინაარსი შუამავლის ქცევებითა და დადგენილი პრაქტიკით არის გამოხატული. ყურანის აიათების თანმიმდევრობა შუამავლის ცხოვრების ბოლო წლის რამადანის თვეში წაკითხულ ყურანში მოცემულ თანმიმდევრობას ეყრდნობა. ჩვენ ვიცით, რომ აიათების თანმიმდევრობა ქრონოლოგიური პრინციპით არ არის განსაზღვრული. ასევე ცხადია, რომ ყურანის სათანადოდ გასაგებად ჰადისების გაცნობაა საჭირო. შუამავლის სუნა ღვთიური გზავნილის გაგების გაიოლებას განაპირობებს.

ყურანი არის უნიკალური საკაცობრიო კულტურა, რომელსაც ანალოგი არ მოეძებნება. შუამავლის და მისი თანამედროვე ხალხის ენა თანამედროვე ადამიანებისთვისაც სრულიად გასაგებია. ყურანი დროთა განმავლობაში არ შეცვლილა და ის თავდაპირველი სახითაა შენარჩუნებული.

ყურანი ცასა და დედამიწას შორის გახსნილი კარია. ის მთელი კაცობრიო-

ბის მიმართ ღვთიური გზავნილია. შუამავლი მუჰამმედი კი მისი გავრცელებისთვის შერჩეული შუამავალია. ჩვენ კი, ეს ღვთიური გზავნილი, რომელიც ადამიანის, კაცობრიობისა და მთელი ცოცხალი სამყაროს მომავალს განსაზღვრავს, სათანადოდ უნდა დავაფასოთ და წავიკითხოთ.

muslim georgia
muslim georgia international charity foundation

ყურანის ცხოვრებისეული ვამოვლინებები

მუსტაფა თექინი

ყურანი ადამიანის ცხოვრებას გარკვეული განზომილების ფარგლებში განიხილავს და ეს მცდელობა, უპირველეს ყოვლისა, ღმერთის, ადამიანისა და სამყაროს შორის ურთიერთობის ფარგლებში რეგულაციების დადგენას გულისხმობს. დასავლეთიდან წამოსულმა რენესანსის, რეფორმების და თვითგამორკვევის ტალღებმა ეკლესიასთან კონფლიქტი შექმნა, რამაც საბოლოო ჯამში ადამიანის ცხოვრებიდან ღმერთის როლის დაქვეითება და ამავდროულად ადამიანის ცხოვრების ბევრ სფეროში ვაკუუმის შექმნა გამოიწვია. დასაწყისში ამ ვაკუუმის საფუძველში, რომელსაც ჰუმანიზმის იდეა ამაგრებდა, გაჩნდა მოლოდინები, რომ დანაკლისს ადამიანური შესაძლებლობები და სხვა მატერიალური ინსტრუმენტები შეავსებდა. მოდერნისტული თეორიებისა და ადამიანის ცოდნით აღმოჩენილი სფეროების გაფართოებამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ღმერთის სფე-

როს შევიწროება გამოიწვია. მოგვიანებით მსოფლიოში განვითარებული მოვლენების ანალიზისას ჩანს, რომ ადამიანებმა ღმერთს ისევ უკან უხმეს. თვითგამორკვევის რაციონალური ინდივიდი საკუთარ თავში საიდუმლოებას, მისტიკას, ერთგვარ ხიბლს ატარებდა და ამასთანავე ამაღელვებელიც იყო. ამის მიუხედავად ეს ინდივიდი, საბოლოო ჯამში გაკოტრდა, რასაც დასავლელი სოციოლოგებიც აღიარებენ. შემდეგში წამოსულმა რელიგიურმა იდეამ მრავალი სახეცვლილი მოვლენა მოიყოლა თან. ყურადღება მიექცა რელიგიურ გრძნობებს ამოფარებულ მოვლენებს, როგორიცაა ჯადო, ზოდიაქო, მკითხაობა, მითები, ცრურწმენები და სხვა. ადამიანები შინაგანად უკმაყოფილონი იყვნენ იმ დამოკიდებულების გამო, რომ ღმერთი ეკლესიებში და მეჩეთებში, ან ადამიანთა უმწეობაში იყო დარჩენილი და რეალურად შეიქმნა მოთხოვნილება ღმერთის ადამიანთა ცხოვრებაში დაბრუნებისა. ცრურწმენებმა, არასწორმა რელიგიურმა წარმოდგენებმა და სხვა ფაქტორებმა, ადამიანთა თვალში ღმერთსა და რეალურ ცხოვრებას შორის ინტერაქტიური ურთიერთობა წარმოშვა.

სიცოცხლის დასასრული და მუდმივობა

ადამიანი კომპლექსური აგებულების და ამავდროულად მრავალგანზომილებია-

ნი არსებაა და ამ განზომილებებს შორის მჭიდრო კავშირია. ადამიანის პოტენციალი და იდენტობა და ასევე მის ირგვლივ არსებული ობიექტები და მათთან ურთიერთობა, ადამიანის სიცოცხლის განზომილებების გამნარტების კუთხით მთავარი ამოსავალი წერტილია. ადამიანის სქესი, ასაკი, ორგანიზმის მდგომარეობა, დაბადების ადგილი, საცხოვრებელი გარემო, გვარი, ეროვნება, სოციალური სტატუსი და სხვა მსგავსი ფაქტორები მის „ადამიანობას“ მრავალფეროვანს ხდის. ამას ემატება საზოგადოებრივი, კულტურული, ეკომომიკური და სხვა გარემო ფაქტორები, რომლებიც ადამიანის ამ მრავალგანზომილებიანობაში თავიანთი წვლილი შეაქვთ. ამდენი განსხვავებისა და განზომილების ლაბირინთში ადამიანის სწორად ამოცნობა ასევე საჭიროებს მიმდინარე პერიოდის აქტიური მოვლენების ანალიზსაც.

მოდით, ამ თვალსაზრისით დასავლური და ისლამისეული ხედვები შევადაროთ. დასავლური განმარტებების თანახმად ადამიანი „ჰომო-ეკომომიკუს“, „ჰომო- რელიჯიუს“ და სხვა მსგავს კონტექსტშია განხილული და თითოეული მათგანი ადამიანის ცალკეული განზომილების დამოუკიდებლად განხილვას გულისხმობს. ამასთანავე ადამიანის შესახებ არსებობს ტერმიი: „განვითარებული ცხოველი“,რომელიც

ადამიანის ბიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით, მის ცხოველთან გაიგივებას გულისხმობს. არადა ადამიანს მრავალი თვისება და უნარი გააჩნია, რაც ცხოველებისგან დიდად განასხვავებს. ეს თვისებებია: აზროვნება, თავისუფალი ნება, მეტყველება და სხვა. ისლამი ადამიანს თავისი ეკონომიკური, შემოქმედებითი, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და სხვა განზომილებებიანად, ერთ მთლიანობად განიხილავს. ყველა ადამიანი ადამის შთამომავალია და ისლამის მიხედვით, ის ყველაზე ღირსეულ არსებადაა მიჩნეული.

დასავლური შეხედულებები ადამიანის სხვადასხვა განზომილებებს დამოუკიდებლად განიხილავს, ისლამი კი ამბობს, რომ ადამიანი ერთი მთლიანობაა და ამ განზომილებებს შორის იდეალური ჰარმონიაა.

ამ თავში ადამიანის სიცოცხლის მრავალგანზომილებიანობასა და ამ განზომილებებს შორის იდელურ კავშირზე გვინდა თქვენი ყურადღების მიქცევა. ამის მიზეზი არის ის, რომ ჩვენს რელიგიას აქვს პრეტენზია ადამიანს ჭეშმარიტი გზა აჩვენოს და მიუთითოს სწორი პერსპექტივები, ამიტომაა, რომ ყურანი ადამიანის ცხოვრების ყველა განზომილებას ეხმიანება. თუ ჩვენ ღვთიურ გზავნილზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში ეს უნდა ეყრდნობოდეს ღმერთსა

და ადამიანს შორის იერარქიას და ასევე ადამიანს ყველა თავისი თვისებით უნდა განიხილავდეს. მარიგად ყურანი ცხოვრების წიგნია და მასში ადამიანის სიცოცხლის შესახებ ყველა ფილოსოფია, ყველა პერსპექტივა და განვითარების ჰორიზონტია წარმოდგენილი.

ყურანის მიხედვით სიცოცხლის განმარტება

ყურანი ოცდასამი წლის განმავლობაში თანდათანობით იქნა მოვლენილი. ამ მოვლენის ასეთი გახანგრძლივებული პროცესი განპირობებული იყო ღვთიურ გზავნილსა და მიმდინარე ცხოვრებას შორის პარალელებით. შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ,რომ ყურანის მოვლინებასა და მიმდინარე ცხოვრებას შორის ერთგვარი „დიალოგი“ მიმდინარეობდა. ალი იზეთბეგოვიჩი ამბობდა, რომ ჰადისების, ანუ ყურანის პრაქტიკული მხარის გარეშე, ყურანის აიათების გაგება შეუძლებელია.

უპირველეს ყოვლისა, ყურანი ცხოვრების წიგნია. ის ქვეყნიერების აღსასრულამდე არსებულ ყველა პრინციპს იტევს და აყალიბებს. ის არამარტო იმ ეპოქის, როცა ის მოვლენილ იქნა, არამედ მთელი

ცხოვრების წიგნია და კაცობრიობის არსებობის ყველა ეტაპს ეხმიანება. ცხოვრებაც ცხადყოფს, რომ ყურანი ისტორიაზე მაღლა დგას.

შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ყურანმა დროს გაუძლო. გამომდინარე აქედან ის არც ამის მერე, დროთა განმავლობაში არ ამოიწურება. არსებობდა მოსაზრებები, რომ ადამიანის ცოდნის დაგროვება, განვითარება და ცივილიზაცია ყურანს გასცდებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

ყურანი ადამიანს სიცოცხლისადმი პერსპექტიულ ხედვას და ფართო არეალს სთავაზობს. ის ადამიანს დეტალებში არ ახრჩობს. პირიქით, ყურანი ადამიანს სიცოცხლის აზრს, სიცოცხლეზე, ადამიანზე და საზოგადოებაზე სწორ წარმოდგენას უქმნის. ყურანი ღმერთსა და ადამიანს, ადამიანსა და ადამიანს, გარემოსა და ადამიანს შორის ურთიერთობებს განსაზღვრავს და არეგულირებს. მხოლოდ მატერიალური სამყაროს აღქმამ მატერიალიზმი მოიტანა, ყურანიკი ამბობს, რომ მხოლოდ ერთადერთი ღმერთია უკვდავი, რომელმაც გააჩინა სამყარო და ადამიანი. ადამიანს რწმენა და მსახურება დაავალა. ამქვეყნიური ცხოვრების დასრულების შემდეგ სიცოცხლე საიქიოში გაგრძელდება. ამქვეყ-

ნიური ცხოვრება დროებითია და მხოლოდ გამოცდაა ადამიანებისთვის. ამრიგად, სიცოცხლე თავის სრულ შინაარსს მხოლოდ მაშინ იძენს, როცა ის ამ რწმენითაა შთაგონებული. ყველა დანარჩენი მოჩვენებითი და დროებითია. ამასთანავე, რადგან ადამიანი ბუნების ნაწილია, ყურანის დებულებებიც ადამიანის ბუნების შესაბამისია.

ყურანის მიხედვით სიცოცხლის გამოვლინება

სიცოცხლის შესახებ გამართული ყოველი კამათის ძირითადი თემა სიცოცხლის ჩარჩოების შესახებ იყო. ადამიანი დაბადებისთანავე იწყებს სიცოცხლეს, რომელიც არ მეორდება. ეს არის ამქვეყნიური ცხოვრება. თუ ამქვეყნიურ ცხოვრებას მხოლოდ ერთადერთ სიცოცხლედ მივიჩნევთ, მაშინ ჩვენი შეხედულება სიცოცხლესა და ამ ცხოვრებაზე შესაბამისად ფორმირდება. სიცოცხლის ამგვარი აღქმა ადამიანს უბიძგებს მხოლოდ ამქვეყნიური სიამოვნებისთვის იცხოვროს. რელიგია კი ამბობს, რომ ამქვეყნიური ცხოვრება დროებითია და ადამიანი გამოცდის მიზნითაა მოვლენილი, ხოლო მუდმივი სასუფეველი საიქიოშია. საიქიოს რწმენა პირდაპირი მნიშვნელობით გულისხმობს, რომ ამქვეყნიური

ცხოვრება მხოლოდ და მხოლოდ გამოცდაა. ყურანში ნაბრძანებია:

„ეშმაკმა ფეხი დააცდენინა (ორივეს) და გამოყარა იქიდან , სადაც იყვნენ. და ჩვენ ვუბრძანეთ: დაეშვით (დედამიწაზე), მტრებად მოქცეულნი ერთმანეთისთვის! თქვენი ადგილი მიწაზეა, დროებითი საცხოვრებლით და სარჩო-საბადებელით.

შემდეგ შეისწავლა ადამმა თავისი ღმერთისგან სიტყვები , ხოლო მან (ალლაჰმა) მიუტევა, უეჭველად ის, სწორედ იგია შემნდობი და მწყალობელი.

ჩვენ ვუთხარით: აქედან ყველა ერთად (დაბლა) დაეშვით! უთუოდ მოგევლინებათ ჩემგან გზა ჭეშმარიტი. მაშ, ვინც გაჰყვეს ჩემს გზას ჭეშმარიტს, არცა შიში ექნეთ და არცა სადარდებელი.

და რომელთაც უარყვეს და ცრუდ ჩათვალეს ჩვენი აიათები, ცეცხლის ბინადარნი არიან ეგენი, იქ იქნებიან სამუდამოდ დამკვიდრებულნი.

ჰეი, ისრაილის ძენო! გაიხსენეთ ჩემი წყალობა, რომელიც თქვენზე გავიღე და შეასრულეთ ჩემი აღთქმა, მაშინ მეც შეგისრულებ თქვენს აღთქმას, და გეშინოდეთ მხოლოდ ჩემი“. (ბაყარა 36-40)

შუამავლის მეგობრების ამბავი ყურანის სწავლა-სწავლების საკითხში

ნევზათ აშიქი

შუამავალი ადამიანებს ყურანის შესწავლისა და შესწავლებისკენ მოუწოდებდა. მოვლენილ აიათებს შუამავლის მეგობრები მაშინვე იზეპირებდნენ. ისინი დაზეპირებულ აიათებს ყოველდღიური ნამაზების დროს კითხულობდნენ. ყოველი სურას ზეპირად ცოდნა სავალდებულო იყო. ზოგმა ერთი სურა იცოდა, ზოგმა რამოდენიმე, ზოგმაც -ყველა. ყურანის ზეპირად მცოდნენი მუდმივად კონტროლდებოდნენ და თუ რომელიმე მათგანი ერთი სურას დაზეპირებას ვერ შეძლებდა, იმას სხვა პირი იზეპირებდა. შუამავლის მეგობრებს შორის თითქმის არ მოიძებნებოდა ისეთი პიროვნება, რომელმაც რომელიმე სურა ზეპირად არ იცოდა.

შუამავლის მეგობრები აიათებს შემდეგი განრიგით კითხულობდნენ: ჯერ ერთი რომელიმე მათგანი ათ აიათს წაიკითხავდა და სხვები უსმენდნენ. შემდეგ მეორე

სხვა ათ აიათს წაიკითხავდა და ყველანი მოისმენდნენ და ა.შ. ასეთი კოლექტიური კითხვის დროს, ისინი აიათების შინაარზეც მსჯელობდნენ. შუამავალი თავის მეგობრებს მოვლენილ აიათებიდან ჯერ მხოლოდ ათს აცნობდა, შემდეგ კი, როცა პირველ ათ აიათს კარგად დაიზეპირებდნენ, ათს კიდევ სთავაზობდა. სანამ შეთავაზებულ ათ აიათს კარგად არ დაიზეპირებდნენ, შემდეგ ათზე არ გადადიოდნენ. მაგალითად, არსებობს ვარაუდი, რომ ჰზ. ომერი ბაყარას სურას დაზეპირებას 12 წელი მოუნდა, რის შემდეგაც მადლიერების გამოხატვის მიზნით აქლემი შეწირა.

ყურანის ზეპირად მცოდნე მუსლიმების ჯგუფს „ელ-ქურა“ ეწოდებოდა. იბნ ჰალდუნის გადმოცემით ეს ჯგუფი არამარტო იზეპირებდა ყურანის აიათებს,ისინი დებულებებსა და განმარტებების შესახებ ცოდნასაც ინახავდნენ. იბნი ჰალდუნი ასევე გადმოგვცემს, რომ რელგიური გადაწყვეტილებების მიღება ყველას არ შეეძლო და ამას მხოლოდ განსწავლული ადამიანები აკეთებდნენ. ესენი იყვნენ ის ადამიანები, რომლებმა ყურანის კითხვა იცოდნენ და განმარტებები თავად შუამავლისგან ჰქონდათ მოსმენილი.

პირველ მუსლიმთაგან ყურანის საუკეთესოდ მცოდნეთა საერთო რაოდენობა

3000-მდე აღწევდა. მათი რაოდენობა ცხადყოფს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ყოფილა ყურანის დაზეპირება.

შუამავალი არამარტო სიტყვით, არამედ საქმითაც მოუწოდებდა ყველას, ეკითხათ ყურანი. როდესაც შუამავალმა იბნ მესუდს სთხოვა ყურანის წაკითხვა, იბნ მესუდმა მოკრძალებით შეჰკადრა, ყურანი შენ მოგევლინა და მე როგორ გავბედო მისი წაკითხვაო. შუამავალმა კი უპასუხა, რომ მას სიმოვნებდა, როცა ყურანს სხვები კითხულობდნენ და თავად უსმენდა. მაშინ იბნ მესუდმა ნისას სურა წაიკითხა და შუამავალმა ის შეაქო.

ყველაზე დიდი ქება ალბათ უბეი იბნ ქაბის ერგო, რადგან შუამავლმა მის შესახებ თქვა, რომ მის მიმდევრებს შორის ყურანს ყველაზე კარგად ის კითხულობდა.

შუამავლის გარდაცვალების შემდეგ ყურანის სწავლა ინტენსიურად გაგრძელდა. მეჩეთებში ყურანის გაკვეთილები სისტემატიურად ტარდებოდა. ცნობილი იყო ებუდ დერბას გაკვეთილები, რომელიც დიმაშქის მეჩეთში დილის ნამაზიდან შუადღის ნამაზამდე ტარდებოდა.

აბუდ დერბა ამ საქმიანობას სიკვდილამდე აგრძელებდა. დილის ნაამზის შემ-

დეგ მეჩეთში მოსულ მოსწავლეებს ათ კაციან ჯგუფებად ყოფდა და თითოეულ ჯგუფს ერთ წინამძღოლს უნიშნავდა, თავად კი მიჰრაბთან დაჯდებოდა, ისე, რომ ყველასთვის თვალი ედევნებინა. ყგუფები კითხვას იწყებდნენ, თუ რომელიმე მათგანი შეცდომას დაუშვებდა ჯგუფის ლიდერს მიმართავდა. თუ შეცდომის გასწორებ ჯგუფშივე არ მოხერხდებოდა, მაშინ ებუდ დერბას მიმართავდნენ. ცნობილია, რომ ამ გაკვეთლებს 1600-ზე მეტი მოსწავლე ესწრებოდა. ებუდ დერბას გარდაცვალების შემდეგ ყურანის სწავლება იბნ ამირმა გააგრძელა. ასევე ცნობილია იბნი აბბასის მოღვაწეობა, რომელსაც მექაში ათასობით მოსწავლე ჰყოლია.

აბდულლაჰ იბნი მესუდი ქუფელების ყადი და მუეზინი იყო. ის ამავდროულად ყურანის მასწავლებელიც იყო. მას საკმაოდ დიდი რაოდენობის მოწაფეები ჰყავდა. სანდო წყაროებით ცნობილია,რომ იბნ მესუდის მოსწავლეების რაოდენობა 4000-მდე აღწევდა. ყურანის მასწავლებლებიდან ასევე გამორჩეული იყო ებუ მუსა ელ ეშარი, რომელიც ბასრაში მოღვაწეობდა. ის ბასრას მეჩეთში დილის ნამაზიდან შუადღის ნამაზამდე ყურანის გაკვეტლებს ატარებდა. მოსწავლეები მის ირგვლივ რკალისებურად სხდებოდნენ და ყურანს იზეპირებდნენ. მან მრავალი მოსწავლე

აღზარდა, რის გამოც ხალიფა ომარისგან მადლობის წერილიც კი მიიღო.

აქვე უნდა გავიხსენოთ შუამავლის რჩევა, რომელიც ყურანის ლამაზად და სწორად კითხვას შეეხებოდა: „ყურანი ამ ოთხი ადამიანისგან აიღეთ: აბდულლაჰ იბნ მესუდი, სალიმი, მუაზ იბნ ჯებელი და უბეი იბნ ქაბი“.

ამ რჩევას ითვალისწინებდნენ ხალიფებიც და ისინი ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პროფესიონალებს.

იმ საჰაბეთა რაოდენობა, რომლებმაც ყურანი თავიდან ბოლომდე ზეპირად იცოდნენ, შეზღუდული იყო. სანდო წყაროების მიხედვით მათი რაოდენობა 4-დან 10-მდე მერყეობდა. ენესის გადმოცემით ესენი იყვნენ: უბეი იბნ ქაბი, მუაზ იბნ ჯებელი, ზეიდ იბნ საბითი და ებუ ზეიდი.

ეშ-შაბი კი ამბობდა, რომ იმ დროის ჰაფიზების რაოდენობა ექვსი იყო და ზევით ჩამოთვლილ პიროვნებებს კიდევ ორ, ებუდ დერბასა და სად იბნი უბეიდს ამატებდა. განსახვავებული გადმოცემის თანახმად კი ამ პიროვნებებს ჰზ. ალი, ჰზ. ოსმანი, თემიმ ედ დარი, უბადე იბნუსსამითი და ებუ ეუბი ემატება.

ასევე ცნობილია საჰაბე ქალი, რომელ-მაც ყურანი დაიზეპირა. შუამავალმა მას „ეშ-შაჰიდე“ უწოდა. ეს იყო უმმუ ვერაქა ბინთ აბდულლაჰიბნილ ჰარის ელ-ენსარი.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity

იკითხე ყურანი, ეძიეთ ეძიებისე

მუამმერ ერბაში

ყველაფერი ერთი ბრძანებით დაიწყო:

„იგია ცათა და ქვეყნის გამჩენი და თუ რამ განიზრახა, საკმარისია უთხრას მას: იქმენ! და უმალ იქმნება! (2/117)

შემდეგ ეს სიტყვა ღვთიურ გზავნილად იქცა და ყველა ცოცხალი არსებისთვის ცხოვრების გზის მაჩვენებელი გახდა.

„შენმა ღმერთმა ზეშთააგონა ფუტკარს: „გაიკეთე საცხოვრებელი მთებში, ხეებსა და ხალხის ნაშენებზე. (16/68)

გარდა ამისა, ყურანში ნაბრძანებია:

„და არ ყოფილა ადამიანისთვის, რომ დალაპარაკებოდა მას ალლაჰი, თუ არა ზეშთაგონებად ან საფარველის მიღმა, ან წარმოგზავნის შუამავალს , და მაშინ ზეშთააგონებს მისი ნებით. უეჭველად, იგი უზენაესია, ბრძენია.“ (42/51)

„უეჭველად, ჩვენ შენ შთაგაგონეთ, როგორც ნუჰს შთავაგონეთ და შუამავლთ მის შემდგომ, და (როგორც) ჩვენ შთავაგონეთ იბრაჰიმს და ისმაილს, ისჰაყს , იაღყუბს და შტოებს, ღისას, ეიუბს, იუნუსს, ჰარუნს და სულეიმანს და მივეცით ზებური (ფსალმუნი) დავუდს ;“ (4/163)

„და არ არის მუჰამმედი არც ერთი თქვენგანის მამა, მაგრამ იგი ალლაჰის წარმოგზავნილი და შუამავალთა ბეჭედია. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა!“ (33/40)

* * *

შუამავალი ობოლი იყო და ის იმ საზოგადოებაში გამეფებულ სიბნელესა და უმეცრებას ებრძოდა, სადაც ის ცხოვრობდა. ის ღმერთს სთხოვდა ეჩვენებინა გზა და გადაერჩინა მისი მიმდევრები:

„უეჭველად, შენ მისადმი უვიცი იყავი. აი, თვალ წინ არსებული ფარდა აგხადეთ, ახლა თვალი შენი უფრო გამჭრიახია!“ (50/22)

„(ო, მუჰამმედ) განა არ გაგვიხსნია და არ გაგვიფართოებია შენთვის მკერდი შენი?

და არ ჩამოგხსენით ტვირთი,

რომელსაც შენ წელში მოეღუნე?“ (94/1-3)

„და თუ შეგეკითხებიან შენ (მუჰამმედ) ჩემი მსახურნი ჩემს შესახებ, უეჭველად, მე ახლოს ვარ, შევისმენ მლოცველის ვედრებას, როცა ის შემევედრება. მაშ, შეისმინონ ჩემი და მირწმუნონ მე, ეგებ სწორი გზით წავიდნენ!“ (2/186)

„უეჭველად, ჩვენ გარდმოვავლინეთ იგი ყადირის ღამეს!

რა გამცნობს შენ, რას ნიშნავს ყადირის ღამე?“ (97/1-2)

* * *

შუამავალს ყურანი ყველა წესის დაცვით მოევლინა:

„და თქვეს, რომელთაც უარყვეს: „რატომ არ გარდმოუვლინა მას ყურანი ერთბაშად?“ ასე მოვიქეცით, რათა გაგიმტკიცოთ მისით გული და გაგიმარტოთ იგი ცხადად!“ (25/32)

„იგავი იმათი, რომელთაც ეტვირთათ თევრათი, მერე არ შეითვისეს იგი, სახედრის იგავის დარია, რომელიც ზიდავს წიგნთა კრებულს. რაოდენ ცუდი მაგალითია ხალხისა, რომელთაც ცრუდ შერაცხეს ალლაჰის აიათები, რამეთუ არ დაადგენს ალლაჰი ჭეშმარიტ გზაზე უსამართლო ხალხს!“ (62/5)

muslim georgia

„ეს უბიწო წიგნი მოვავლინეთ შენთან, რათა შეიგონონ მისი აიათები და რომ განსაჯონ ბრძენკაცთა, ჭკუასაკითხთა!“ (38/29)

„უეჭველად, აი ეს, ყურანი, დაადგენს ყველაზე სწორი გზისკენ და ახარებს მორწმუნეებს, რომელნიც კეთილ საქმეებს აკეთებენ, სწორედ რომ მათთვისაა დიადი საზღაური!“ (17/9)

„ნუთუ ისინი ყოველმხრივად არ გაიაზრებენ ყურანს? ან იქნებ გულთა ზედა აბია საკეტნი თვისი?“ (47/24)

„უთხარი : ჰეი, ადამიანებო! უეჭველად, მე ვარ ყველა თქვენგანისთვის შუამავალი ალლაჰისა, რომელსაც ეკუთვნის მეუფება ცათა და ქვეყნისა. არ არსებობს ღვთაება, გარდა მისი! იგი აცოცხლებს და აკვდინებს. მაშ, ირწმუნეთ ალლაჰი და შუამავალი მისი, წერა-კითხვის უცოდინარი ელჩი, რომელსაც სწამს ალლაჰის და მისი სიტყვების. და მისდიეთ მას, ეგების ჭეშმარიტ გზას დაადგეთ თქვენ!“ (7/158)

* * *

ღვთიური სიტყვა არაბულ ენაზე იქნა მოვლენილი:

„უეჭველად, ჩვენ გარდმოვავლინეთ იგი

არაბულად, ეგების მოგეხმოთ გონებისთ-
ვის!“ (12/2)

**შემდეგ ის თანდათანობით მთელ კა-
ცობრიობაზე გავრცელდა:**

„ის მხოლოდ შეგონებაა სამყაროთათ-
ვის .“ (38/87)

ყოველი გზავნილი ადამიანთა გულებს
ბედნიერების გზას სთავაზობდა.

„მშვენიერ ქალაქში მცენარეები უხვად
ხარობენ ღმერთის ნებით , ხოლო რომე-
ლიც ცუდია , მხოლოდ უსარგებლო რამ
აღმოცენდება . ამგვარად ვმარტავთ აია-
თებს ხალხთათვის,რომელნიც მადლიერნი
არიან!“ (7/58)

**ურწმუნოების შავი ღრუბლები, რომლე-
ბიც დედამიწაზე იყო ჩამოწოლილი, ერთ-
მანეთის მიყოლებით გაიფანტა:**

„ელიფ. ლამ. რა. აი წიგნი, რომელიც
ჩვენ ზეგარდმოვავლინეთ შენზე ,რათა გა-
მოიყვანო ხალხი წყვდიადიდან ნათელში,
მათი უფლის ნებით, ძლევამოსილის, ყოვ-
ლადქებულის გზაზე,“ (14/1)

საუკუნეების მანძილზე ჭეშმარიტება და სიცრუე ერთმანეთში იყო არეული და ისინი ნათლად განსხვავდა:

„უეჭველად, ის სიტყვაა გამომრჩეველი (ჭეშმარიტების სიცრუიდან)“ (86/13)

ამრიგად, ყველა ის ადამიანი, რომლებსაც გონება უჭრიდათ, ჭეშმარიტებას ჩასწვდა:

„და ჩვენ დავადგინეთ მათგან წინამძღოლები. ისინი ჩვენი ბრძანებით ჭეშმარიტ გზაზე ადგენდნენ, რადგან იყვნენ მომთმენნი და მტკიცედ სწამდათ ჩვენი აიათები!“ (32/24)

ადამიანები სწორ გზას დაადგნენ:

„და როგორდა უარყოფთ (სარწმუნოებას), როცა თქვენ გეკითხებათ ალლაჰის აიათები და თქვენ შორისაა შუამავალი მისი? და ვინც ალლაჰს (გულით) შეიყვარებს , უეჭველად, სწორ გზას ადგას იგი“. (3/101)

მუსლიმები გადარჩენას ეზიარნენ:

„აი ნეტარნი, რომელნიც ჭეშმარიტ გზას ადგანან მათი უფლისგან.“ (2/5)

მორწმუნე ადამიანები ღვთის კმაყოფილებას ეზიარნენ:

„უეჭველად, ალლაჰი კმაყოფილი გახდა მორწმუნეებიდან მაშინ, როცა აღთქმა დაგიდეს ხის ქვეშ. იგი უწყოდა იმას, რაც ედოთ გულებში. ამრიგად ზეგარდმოავლინა მათზე სიმშვიდე, მიჰმადლა მათ ახლო გამარჯვება“ . (48/18)

ამრიგად, ამ ღვთიური ვედრების პირველი ნაბიჯი ჭეშმარიტება გახდა:

„და იმათგან, ვინც ამბობს: ღმერთო ჩვენო! მოგვეცი ჩვენ სიკეთე ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც და იმქვეყნიურშიც, დაგვიფარე ჩვენ ცეცხლის სასჯელისგან“. (2/201)

* * *

ეს იყო ყურანის სასწაული, რაც მოხდა:

„უთხარი: „რომც გაერთიანდნენ კაცნი და ჯინნი, რათა შექმნან მსგავსი ამ ყურანისა, ვერ შექმნიან მის მსგავსს, თუნდაც ერთიმეორეს დაეხმარონ!“ (17/88)

რას ითხოვდა ყურანი ჩვენგან?

„ისინი, რომელთაც წიგნი ვუბოძეთ, კითხულობენ მას (ყურანს) შესაფერისი კითხ-

ვით. აი ისინი, ვისაც სწამთ მისი, ხოლო ვინც უარყოფს მას, წაგებულნი არიან“. (2/121)

ყურანის კითხვის დაწყებისას ყოველგვარი ცუდი და ნეგატიური ფიქრებისგან უნდა გავთავისუფლდეთ:

„მაშ, როცა კითხულობ ყურანს, ჯერ ალლაჰს მიეკედლე იმ ჩაქოლილი ეშმაკისგან!“ (16/98)

„უეჭველად, შენი ღმერთი უწყის, რომ შენ ლოცვას აღავლენ სულ მცირე ღამის ორ მესამედ ან ამის ნახევარს, ან მის მესამედს, და ერთი ჯგუფი იმათგან, რომელნიც შენთან ერთად არიან. და ალლაჰმა გამოთვალა დღე და დამე, იგი უწყის, რომ თქვენ ვერ გამოთვლიდით მას. ამიტომაც მოგიტევათ თქვენ. მაშ, იკითხეთ რაც გეიოლებათ ყურანისგან. იგი უწყის, რომ თქვენგან ერთი ნაწილი ავად გახდებოდა და სხვა დანარჩენები იმოგზაურებდნენ დედამიწაზე ალლაჰის წყალობის საძიებლად. და კიდევ სხვები იბრძვიან ალლაჰის გზაზე. მაშ, იკითხეთ რაც გეიოლებათ მისგან და აღავლინეთ ლოცვა, გაეცით ზექათი და ასესხეთ ალლაჰს კეთილი სესხი. და რა სიკეთესაც წაიმძღვარებთ საკუთარი სულისთვის, იმას ჰპოვებთ ალლაჰთან, უფრო დიდი სიკეთედ და უდიდეს საზღაურად.

და ალლაჰს მიტევება შესთხოვეთ, რამეთუ ალლაჰი შემწყალეა, მწყალობელია!“ (73/20)

როგორს თანდათანობით იქნა მოვლენილი, ისე აიათობით უნდა წავიკითხოთ:

„და ჩვენ დავყავით იგი, ყურანი, რათა უკითხო ის ხალხს დახვეწილად, და ზეგარდმოვავლინეთ იგი თანდათანობით“. (17/106)

ყურანს მთელი გულით უნდა მოვუსმინოთ:

„და როცა იკითხება ყურანი, ისმინეთ იგი და გაჩუმდით , ეგების შეწყალებულ იქმნეთ თქვენ!“ (7/204)

ყოველი აიათის მოსმენისას გულისხმიერი ფიქრია საჭირო:

„ნუთუ ისურვებს ვინმე თქვენგან, რომ ბაღი ჰქონდეს ფინიკისა და ვაზისა, რომელშიც ყველანაირი ნაყოფია, სადაც ძირს ნაკადულები მიედინება, ამ დროს ეწვიოს სიბერე, თან შთამომავლობაც სუსტი ჰყავდეს, ხოლო ბაღს ცეცხლიანი ქარიშხალი დაატყდეს და დაწვას?! ასე განგიმარტავთ ალლაჰი თავის აიათებს. ეგებ დაფიქრდეთ!“ (2/266)

ყურანის უნაკლო მთლიანობა უნდა გავიზიაროთ:

„ნუთუ ისინი ყოველმხრივად არ გაიაზრებენ ყურანს? და რომ ყოფილიყო ალლაჰის გარდა სხვა წიაღიდან მოვლენილი, მასში, უეჭველად, უამრავ გაუგებრობას იპოვიდნენ.“ (4/82)

მისგან საჭირო გაკვეთილები უნდა მივიღოთ:

„და ასე ავხსნით ჩვენ აიათებს , რათა თქვან მაგათ: „გისწავლია შენ “. და განვმარტავთ მას ხალხისთვის, რომელთაც შემეცნება სურთ“. (6/105)

მიღებული გაკვეთილები ცხოვრებაში უნდა განვახორციელოთ:

„და ეს წიგნი , რომელიც ჩვენ გარდმოვავლინეთ, უბიწოა. მაშ, მიყევით მას და იყავით ღვთისმოშიშნი (არ გაეკაროთ სისაძაგლეს), ეგების შეწყალებულნი იქმნეთ თქვენ!“ (6/155)

ჩვენ პირუთვნელად უნდა შევასრულოთ ის ბრძანებები, რომლებიც ყურანშია მოცემული:

„უეჭველად, ჩვენ მოგივლინეთ ღვთიური

წიგნი ჭეშმარიტებით, რათა განსაჯო ადამიანებს შორის ისე, როგორც შენ ალლაჰმა დაგიდგინა. და ნუ იქნები დამცველად მოღალატენის!“ (4/105)

მოკლედ, სრულად უნდა მივეკედლოთ მას:

„მაშ, ჩაეჭიდე იმას, რომელიც ზეშთაგეგონა შენ. უეჭველად, შენ ჭეშმარიტ გზას ადგახარ!“ (43/43)

* * *

შუამავლმა ასე გაგვაცნო ჭეშმარიტი სარწმუნოება:

„უეჭველად, ალლაჰის წინაშე სარწმუნოება ისლამია“... (3/19)

ყურანი წესისამებრ უნდა ვიკითხოთ:

„ან დაამატე მასზე და ლამაზად იკითხე ყურანი, აუჩქარებლად (დინჯად).“ (73/4)

შემდეგ ბავრი ისეთი ნიუანსია, რომელთა ახსნაც ძნელია:

„ჩვენ არ გარდმოგვივლენია შენზე წიგნი, თუ არა იმისთვის, რომ განუმარტო მათ ის, რაზეც ვერ თანხმდებიან, და გზად ჭეშ-

მარიტად და წყალობად მორწმუნე ხალხთათვის!“ (16/64)

და კაცობრიობას უნდა შევასწავლოთ ის:

„მოჰმადლა ალლაჰმა მოწყალება მორწმუნეებს, როცა მოუვლინა მათ შუამავალი მათივე წიაღიდან, რომელიც უკითხავს მათ (ალლაჰის) აიათებს, განწმენდს მათ, ასწავლის წიგნსა და სიბრძნეს, თუმცა მანამდე იყვნენ ისინი ცხად გზააბნევაში“. (3/164)

სამყაროსადმი უკანასკნელი მოწოდება:

„და არ წარგვიგზავნიხარ შენ ,თუ არა მოწყალებად სამყაროთათვის !“ 21/107)

რადგანაც ღმერთი ბრძანებს, რომ არ იქნება სასჯელი გაფრთხილების გარეშე:

„და არ ანადგურებდა შენი ღმერთი ქვეყნებს, სანამ არ წარუგზავნიდა მის მკვიდრთ შუამავალს, რომელიც ამცნობდა მათ ჩვენს აიათებს. და არ ვიყავით ჩვენ გამნადგურებელნი ქვეყნებისა, თუ მათი მცხოვრებლები არ იყვნენ უსამართლონი! (28/59)

* * *

შუამავალმა ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე განაცხადა, რომ „მისი მიმდევრებიდან

ყველაზე ღირსეულნი, ყურანის ჰაფიზები იყვნენ“. (ბუსეიმი, ეზ-ზევაიდ, 7 161)

შუამავალი ყურანის კითხვის წესს გვასწავლიდა: „ყურანის საუკეთესოდ კითხვის ფორმა ისაა, როცა მსმენელს ღვთისადმი სიყვარული და გულწრფელობა ეუფლება“. (იბნ მაჯე, იქამე, 176)

ის გვირჩევდა ყოველთვის ყურანით გვეცხოვრა:

„დაწოლის წინ ქაფირუნის სურა იკითხეთ, რადგან ეს სურა ურწმუნოებისგან დაგიცავთ“. (ბუჰარი, ფედაილულ ყურან. 14)

ის გვირჩევდა, რომ მუდმივად გვეკითხა ყურანი და არსოდეს მიგვეტოვებინა:

„საუკეთესო საქმეა, ყურანის თავიდან ბოლომდე წაკითხვის შემდეგ ისევ თავიდან დაიწყოთ“. (ალი ნასიფ, ეთ-თაჯ, 4, 6-7)

მან მალე გაფანტა სხვადასხვა განზრახვის მქონენი:

„ის ჭეშმარიტი მორწმუნე, რომელიც ყურანს კითხულობს და მოვალეობებსაც ასრულებს, გემრიელი და სურნელოვანი ფორთოხლის ნაყოფს გავს. ის მორწმუნე კი, რომელიც ვალდებულებებს ასრულებს,

მაგრამ ყურანს არ კითხულობს, გემრიელ, მაგრამ სურნელების გარეშე დარჩენილ ხურმის ნაყოფს გავს. მუნაფიყი, რომელიც ყურანს კითხულობს, მაგრამ ვალდებულებებს არ ასრულებს, სურნელოვან, მაგრამ უგემურ რეიჰანს გავს, ხოლო ის მუნაფიყი, რომელიც არც ყურანს კითხულობს სუნითაც და გემოთიც მწარე, ებუ ჯეჰილის საზამთროს გავს.“ (ბუჰარი, ფედაილულ ყურან, 26)

შუამავალმა თვალთმაქცები სასტიკად გააფრთხილა: „ყურანის საკითხში მოჩვენებითობა და სიყალბე ურწმუნოებაა“. (იბნ ქესირ, თეფსირ ზეილი, 7, 516)

* * *

შუამავლის რჩევას მთელი მისი მეგობრები გულმხურვალედ ჩაეჭიდნენ:

„როცა მათ ეკითხებით, ამბობენ: „ვიწამეთ ის! უეჭველად, იგია ჭეშმარიტება ჩვენი ღმერთისგან. ჩვენ უწინაც მუსლიმები ვიყავით!““ (28/53)

ისინი მაშინვე ყურანის აიათებს მიუბრუნდნენ:

„ისინი, რომელთაც წიგნი ვუბოძეთ, კითხულობენ მას (ყურანს) შესაფერისი კითხვით. აი ისინი, ვისაც სწამთ მისი, ხოლო

ვინც უარყოფს მას, წაგებულნი არიან“. (2/121)

როგორც კი ეს გაიგონეს, მაშინვე სეჯდე შეასრულეს:

„აი, ისინი, რომლებზედაც ალლაჰმა ჯილდო მოიღო შუამავალთაგან, ადამის შთამომავალთაგან ,და რომელნიც აიყვანა ნუჰთან ერთად და იბრაჰიმის და ისრაილის შთამომავალთაგან და იმათგან, ვინც ჩვენ დავადგინეთ ჭეშმარიტ გზაზე და ვინც ჩვენ ვჰყავით რჩეულნი. მათ როცა ეკითხებათ მოწყალის აიათები, ტირილით სეჯდეს აღასრულებენ!“ (19/58)

მათ დიადი ღმერთისგან ქება დაიმსახურეს:

„უეჭველად, მორწმუნენი არიან ისინი, რომელთაც გულები შიშით უთრთიან, როცა ხსენდება ალლაჰი, ხოლო როცა მისი აიათები ეკითხებათ, რწმენას ჰმატებს იგი და მიენდობიან თავიანთ ღმერთს,“ (8/2)

* * *

ისინი ერთი აიათიდან მეორეზე ისე არ გადადიოდნენ, სანამ არ გაიგებდნენ:

„ჩვენ როცა ყურანის ათ აიათს დავისწავლიდით,მათში მოცემულ ალალს,არამს,

ბრძანებებსა და აკრძალულებს სანამ არ გავეცნობოდით შემდეგ ათ აიათზე ისე არ გადავიდოდით“. (აბდურრეზზაქ, ელ მუსანნეფ, 3, 380)

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity

ყურანის ხელოვან დაკავშირებით ყურანის კითხვის შესახებ

მუსტაფა აღირმანი

შუამავალმა და მისმა მეგობრებმა ისლამის მიხედვით ცხოვრებისა და ისლამის გავრცელებისთვის ბევრი შრომა გასწიეს. შრომამ შედეგი გამოიღო და ბოლოს მიზანს მიაღწიეს. ისლამი, ჯერ კიდევ შუამავლის სიცოცხლეშივე არაბეთის ნახევარკუნძულზე სრულად გავრცელდა. შუამავლის გარდაცვალების შემდეგ ისლამის გავრცელება გაგრძელდა და არაბეთის ნახევარკუნძულის ფარგლებს გასცდა. ოთხი დიდი ხალიფას მმართველობის პერიოდში ისლამი საკმაოდ ფართო გეოგრაფიულ არეალზე იყო გავრცელებული. ამ პერიოდში სხვადასხვა ერები ეცნობოდნენ ისლამს და ჭეშმარიტ სარწმუნოებად აღიარებდნენ. ისლამის გარცელება არც ემევებისა და აბბასების მმართველობის მმართველობის დროს შეჩერებულა. თურქები ემევების მმართველობის დასასრულსა და აბბასების მმართველობის დასაწყისში ეზიარნენ ისლამს და ჭეშმა-

რიტ სარწმუნოებაზე მოექცნენ. აბბასების მმართველობის დროს სხვა ერებიც მოექცნენ ისლამზე. სელჩუკებისა და ოსმალების მმართველობისას კი ისლამი სამ კონტინენტზე გავრცელდა. ატლანტიის ოკეანიდან შუა აზიამდე, იემენიდან კავკასიამდე მცხოვრები ხალხები ისლამის ნათელით იყვნენ გასხივოსნებული და მათ ისლამის მიერ მოტანილი სიკეთით დაიწყეს სარგებლობა და ამავდროულად თავიანთი კულტურაც ისლამთან დააკავშირეს. ამ ერებმა თავიანთი მნიშვნელოვანი ტრადიციები, სამხერდო ხელოვნება, კულტურა და სხვა ისლამის სამსახურში ჩააყენეს. ამრიგად შეიქმნა საკმაოდ მრავალფეროვანი და მდიდარი ცივილიზაცია.

თურქები ისლამს ჩვენი წელთაღრიცხვით მერვე საუკუნეში ეზიარნენ და თავიანთი გმირობითა და თავდადების წყალობით ძლიერი სახელმწიფოები შექმნეს. ამ სახელმწიფოთაგან სელჩუკთა და ოსმალთა სახელმწიფოები, სხვებთან შედარებით, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არსებობდა. ამ ორმა სახელმწიფომ, სხვა ხალხების თანამონაწილეობით უდიდესი ისლამური ცივილიზაცია შექმნა. ამ ცივილიზაციის მაჩვენებლები იყო არქიტექტურა, მუსიკა, ხელოვნება, ესტეთიკა, დისციპლინა, მმართველობა, ადამიანის უფლებები, რელიგიური თავისუფლება და სხვა. ამ

პერიოდში შეიქმნა არქიტექტურის უნიკალური ნიმუშები, მეჩეთები, მინარეთები, შადრევნები, ხიდები და სხვა. ხელოვნების სფეროში შექმნილი ნიმუშები უნიკალურია. ეს ყველაფერი ისლამის სახელით კეთდებოდა, რათა ისლამი უფრო მეტი ადამიანისთვის ყოფილიყო მისაღები. ხელოვანები, არქიტექტორები და სხვები საკუთარ ნიჭსა და უნარს ისლამს უძღვნიდნენ. ხელნაწერის ოსტატები და მხატვრები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ყურანი საუკეთესო ფორმით ყოფილიყო დაწერილი. პოეტები თავინთი სიტყვაკაზმულობით ისლამის მადიდებელ ნაწარმოებებს ქმნიდნენ.

ყოველ ერს და ასევე ყოველ ადამიანს თავისთვის დამახასიათებელი გამოხატვის ფორმა გააჩნიათ. სიმღერაზეც რომ ვისაუბროთ, ყველა ერს მისთვის დამახასიათებელი ხმის ტემბრი და ტონალობა გააჩნია. აქვე მნიშვნელოვანია პიროვნების ნიჭი, სმენა, ყელი აგებულება და სხვა. ჩვენ რაც არ უნდა ვეცადოთ აბდუსსამედის მსგავსად ყურანს ვერ წავიკითხავთ. ღმერთმა ის ამ ნიჭით დაჯილდოებული გააჩინა. ადამიანის ხმაზე გარემო ფაქტორებიც მოქმედებს, ჰაერი, წყალი, საკვები, გენეტიკა, გარემო, კულტურა და სხვა. გამომდინარე აქედან თურქი ეგვიპტელის მსგავსად ვერ კითხულობს და პირიქით, ეგვიპტელი ზუს-

ტად თურქივით ვერ კითხულობს. ერთმანეთზე მიბაძვა და წვალებაც უადგილოა. თურქებს თავიანთი სტილი აქვთ და ის თავისებურად ლამაზია და ასევე თავიანთი სტილი აქვთ ეგვიპტელებსაც, რომელიც ასევე ძალიან ლამაზია. მე ძალიან მომწონს ჩვენი მუაზინების მიერ ნაკითხი ეზანი. მექაშიც რომ ჩავდივარ იქაც კი ვნატრობ, რომ სტამბოლის მუაზინების ეზანი გავიგონო.

თურქეთის რელიგიის სამინისტროს ინიციატივით 2010 წელი ყურანის წლად იქნა გამოცხადებული. ამ წელს ქვეყნის ყველა რეგიონში ყურანის კითხვის საჩვენებელი ღონისძიებები გაიმართა. მეც მხვდა წილად პატივი აღნიშნულ ღონისძიებებზე დავსწრებულიყავი, როგორც მომხსენებელი. ჩვენი ჰაფიზების მიერ წაკითხული ყურანის მოსმენა ერთი ბედნიერება იყო. აღნიშნული პროგრამები ყველ მიმართულებით კარგი და სასარგებლო იყო და ამასთანავე მე მინდა რამოდენიმე რჩევა გავაჟღერო:

1- ჩემი აზრით, ჩვენმა ჰაფიზებმა ჩვენი ტრადიციისამებრ უნდა იკითხონ. ჩვენი ტრადიციის მიხედვით კითხვას კი სპეციალური სკოლის გავლა სჭირდება. ასეთ შემთხვევაში ყურანის არამარტო სწორად და გრამატიკის წესების დაცვით კითხვა

იქნება საკმარისი, არამედ ხმის ტემბრის მართვა და ტონალობაც იქნება გათვალისწინებული. ასეთი კითხვა პროფესიონალისგან უნდა იქნას შესწავლილი. ცნობილმა ჰაფიზებმა ეს იციან.

2- ყურანის კითხვისას ზედმეტად ხმის აწევა და ყვირილი სასიამოვნო არ არის. მე ვიცი, რომ ყურანის კითხვის წესები ზოგჯერ ხმის აწევას მოითხოვს და ზოგი აიათ ხმადაბლა უნდა იქნას წაკითხული, მაგრამ ამ მხრივ ზომიერების დაცვა მნიშვნელოვანია. პროფესიონალმა ჰაფიზმა იცის როდის რა ტონალობაში იკითხოს. მკითხველმა ყურანის აიათები მკითხველთან ყველაზე ეფექტური გზით უნდა მიიტანოს. ეს ხელოვნებაა.

3- მკითხველმა წაკითხულის შინაარსი კარგად უნდა იცოდეს. ის უნდა ხვდებოდეს, რას ამბობს, რათა მკითხველთან მიტანა შეძლოს. ამ მხრივ ეგვიპტელი ჰაფიზების წარმატება აქედან გამომდინარეა.

4- მე ვფიქრობ ეგვიპტური სტილი არ უნდა ავიღოთ და კითხვისას მუდმივად უკან დაბრუნება და აიათების სისტემატიური გამორება არ უნდა გადმოვიღოთ. ჩვენს ტრადიციაში მსგავსი სტილით კითხვა არ არსებობს.

5- უაკნ დაბრუნების და აიათების სისტემატიური გამეორების სტილი ეგვიპტელი მსმენელისთვისაც მისაღებია, რადგან ისინი ამას მიჩვეულნი არიან, მაგრამ ჩვენი მსმენელი იბნევა და ფიქრობს, ნეტა მკითხველს დაავიწყდა აიათი, შეეშალა, თუ რა ხდება?

6- მკითხველმა დრო სწორად უნდა გათვალოს. კითხვის ზედმეტად გაგრძელებამ მსმენელის ყურადღების გაფანტვა არ უნდა გამოიწვიოს.

7- ჰაფიზმა ის ადგილი, სადაც ყურანს კითხულობს, სწორად უნდა აღიქვას. კითხვის დროს ინტონაცია და წასაკითხი ნაწილის ხანგრძლივობა ადგილის, ფართისა და გარემოს მიხედვით სწორად უნდა იქნას დარეგულირებული. ყურანი ისეთ ადგილს უნდა ვიკითხოთ, სადაც ადამიანები ყურადღებით მოსმენას შეძლებენ. ყურანის კითხვა და მისი მოსმენა სერიოზული საქმეა.

8- ჰაფიზმა წასაკითხი სურა და გარემო კარგად უნდა შეარჩიოს. მაგალითად, საქორწინო ცერემონიის დროს შესაბამისი აიათები უნდა წავიკითხოთ, ხოლო გასვენების დროს შესაფერისი სურა უნდა შევარჩიოთ.

9- მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს მასზე უფრო პროფესიონალი მკითხველების ყოფნა და კითხვის უპირატესობა დაუთმოს. ამ დროს უფრო მაღალი დონის პროფესიონალებზე წინ წასვლა სასიამოვნო არ არის. უმჯობესია ჯერ მათ დავუთმოთ. ეს ჩვენთვისაც და მსმენელისთვისაც მისაღები საქციელია.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity

ცხოვრება ყურანის ჩრდილქვეშ

ლამია ლევენთ

„მის ჩრდილქვეშ ცხოვრება მხოლოდ მათ იციან, ვისაც ეს გამოუცდია“. (სეიდ ქუთუბი)

რა არის ცხოვრება?

ცხოვრება დროთა განმავლობაში უფრო და უფრო ჩახლართული ურთიერთბებით დატვირთული პროცესი ხდება. ამიტომაა, რომ თანამედროვე ადამიანის ცხოვრება უმეტესწილად სიხარულითა და იმედით კი არ არის სავსე, არამედ ტვირთადაა ქცეული. პასუხიმგებლობები, მოვალეობები, დავალებები და სხვა მრავალი მსგავსი ფაქტორები ადამიანის ცხოვრებას მოსაბეზრებელს ხდის. ამას ემატება მიზნები, სურვილები, მოთხოვნილებები, რომლებიც არა და არ მთავრდება. ამ ყველაფრის ქვეშ მოქცეული ადამიანი თითქოს უფრო და

უფრო იკარგება. ნეტა, მართლა ეს არის ცხოვრება? ასეთი ამოუწურავი შფოთვები და დარდია ცხოვრება?

უკან მოვიხედავთ, რომ უამრავი დაუმთავრებელი საქმე დაგვრჩენია, დაუმთავრებელი პროექტები გველოდება, ნახევარ გზაზე მიტოვებული საქმეები გვიცდის... მთელი ცხოვრება რომ ვზრუნავდით ის ოჯახი, საქმიანობა, გარემო...რის მიღწევას ვცდილობთ, რა გვინდა? ნეტა ეს ყველაფერი, რისთვისაც ცხოვრების წლები დავხარჯეთ, ამად ნამდვილად ღირს?

ამ კითხვებზე გასაცემი პასუხებიდან გახდება ნათელი ჩვენი ცხოვრებისადმი დამოკიდებულება და ჩვენი რეალობის აღქმა. რისთვის და რითი უნდა იცხოვროს ადამიანმა? შრომით, შემოსავლის მიღებითა და ხარჯვით ბედნიერების მიღწევა შესაძლებელია? ცხოვრებაში წარმატების მიღწევა, მაღალი თანამდებობების დაკავებაა ბედნიერების საიდუმლო? თუ სურვილების შესრულებაა ბედნიერება? რა არის ცხოვრება, ან ბედნიერება საიდან იწყება და სად მთავრდება? ასეთი შეკითხვები მრავალად შეიძლება დაისვას და თუ მათზე პასუხებს ვერ ვპოულობთ, ეს ნიშნავს, რომ გაურკვევლობაში ვცხოვრობთ.

უცნაურია, მაგრამ უსარგებლო ყოვლდღიურობაში ვცხოვრობთ. არადა ცხოვრე-

ბას ამ ყველაფრის მიღმა და ამ ყველა-ფერზე მაღალი აზრი გააჩნია. ცხოვრება ამ ფუჭი იმედების მიღმა, ძალიან ძვირ-ფასი და ლამაზია. ყველა ჩვენი სურვილი და მისწრაფება, რომლის ასრულებასაც ვცდილობთ, როგორც წესი, თავის მონად გვაქცევს. ცხოვრება, ირგვლივ რაც ხდება, იმის ადეკვატური აღქმაა. ცხოვრება ერთი, რომელიმე ყვავილის არსებობის გააზრე-ბა, მისი დაყნოსვა, უთენია გაღვიძება და სამყაროს ხმის მოსმენაა.

მისი ჩრდილი უნდა გვფარავდეს

არ ვიცი უმეტესობა ჩვენგანი ამას თუ ვამჩნევთ, მაგრამ სამყაროს ყველაზე ლა-მაზი სიტყვების მოსმენის პატივი გვერგო. ჩვენ მას ძალიან ვუყვარვართ და ჩვენგანაც ანალოგიურ სიყვარულს ითხოვს. ღმერთს ვუყვარვართ ჩვენ და ამიტომ გაგვაჩინა, შემდეგ კი საკუთარი სიტყვებით დაგვე-ლაპარაკა. ეს იმდენად წმინდა და დიადი სიტყვებია, რომ მის ჩრდილქვეშ ცხოვრება ადამიანის ყველაზე დიდი პატივი და ღირ-სებაა. ადამიანი მისი სიტყვების ნათელით აღიქვამს საკუთარ არსებობას. სიცოცხლე მასთან ერთად ყოფნაა და მის გარეშე არ არსებობს არაფერი.

ამქვეყნიური ცხოვრების ქარტეხილში ერთადერთი სანდო დასაყრდენი ისაა. მან მოგვცა წმინდა წიგნი, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევიცნოთ ის და ხელი ჩავჭიდოთ. ეს ის წმინდა წიგნია, რომელიც კაცობრიობას სიბნელიდან ნათელში გაიყვანს. ეს არის წიგნი გონიერთათვის.

თუ არ იქნება მისი ნათელი აღარაფერი იარსებებს

ადამიანი ზოგჯერ იმედს კარგავს, სასოწარკვეთლებაში ვარდება და ყველასგან გაუცხოებულია. ასეთი ადამიანისთვისაც ერთადერთი იმედი მხოლოდ ისაა. ყოველი უბედურების ჟამს მის მფარველობას ვგრძნობთ. ჩვენ ვიცით, რომ ყველაზე სანდო თავშესაფარი მასთანაა. როდესაც მისი სიტყვა გაანათებს გულს, ის გული განიწმინდება და აუწონავი ბედნიერებით აღივსება.

ამ სამყაროს წიგნის ჩრდილში ცხოვრება ნიშნავს გრძნობდე მის მადლს და ამ გრძნობის შედეგად მიღებული ბედნიერებით ფრთაშესხმული საიქიო ცხოვრების ჰორიზონტისკენ მიილტვოდე.